ხელშეკრულება № 2022/10/158
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი **7 ივლისი, 2022წ**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის, ლანა ჯიბლაძის სახით და შპს **„დი ეს"** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის, დავით სექანიას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის 7 ივლისის N196829/17 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ფასთა ცხრილით გათვალისწინებული საქონელი.

1.7 ფასთა ცხრილი - მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილი.

1.8 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ბენზოცელის (ბალახის სათიბი ცელი) და ბალახის მოსათიბი ბენზო ცელის დისკის (CPV 42650000) შესყიდვა.

2.2 შესასყიდი საქონლის მაიდენტიფიცირებადი მონაცემები, რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ფასთა ცხრილში (დანართი №1).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ფასთა ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად და შეადგენს 1020 ლარს (ათას ოცი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ფასთა ცხრილით (დანართი №1) გათვალისწინებული საქონელი, სრული ოდენობით, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 8 ივლისის ჩათვლით, ერთიანად, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულ საქონელზე ვრცელდება გარანტია მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

5.2 საგარანტიო *პერიოდის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ექსპლუატაციისას, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა განახორციელოს შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე. საგარანტიო პირობები განისაზღვრება საგარანტიო ფურცლით.*

5.3 მიმწოდებლის მიერ 5.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

6. ინსპექტირება

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ეკონომიკური დეპარტამენტის ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი – გურამ ბერიძე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - იგივე სამსახურის სხვა თანამშრომელი.

6.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და გამოასწოროს წუნი 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში წუნდებული საქონლის ახალი, ვარგისი საქონლით ჩანაცვლებით.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს ეკონომიკური დეპარტამენტის ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვაკო ვარამაშვილი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: 2022 წლის საკუთარი შემოსავლებით მიღებული სახსრები.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. მიწოდების ვადაში არ შედის საქონლის წუნის აღმოფხვრისათვის ხელშეკრულების 6.4 პუნქტით დაწესებული ვადა, ასევე, ინსპექტირებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისთვის გახარჯული დრო.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 და 6.4 პუნქტებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 8 აგვისტოს ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლანა ჯიბლაძის სახით,
მისამართი: თბილისი, გორგასლის №22
ტელეფონი: 291-05-17,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში, GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22; სახაზინო კოდი: 707427078
ს/კ – 202238621

მიმწოდებელი

შპს „დი ეს“
წარმოდგენილი დირექტორის, დავით სექანიას სახით,
მისამართი: ქ.თბილისი, გლდანის მასივი,მიკრო/რაიონი VII, კორპუსი 9ა, ბ.55
ტელეფონი: მობ. 555-27-82-73
საბანკო რეკვიზიტები:ანგ:
GE05BG0000000161102491
სს - საქართველოს ბანკი, კოდი - BAGAGE22
ს/კ 400263889

David Sekania 62001002537
Digitally signed by David Sekania
Date: 2022.07.07 20:22:51

ინვოისი № 05/22-07/05

05.07.2022 წ.

მიმწოდებელი:
შპს „დი ეს“
ს/ნ 400263889
მომსახურე ბანკი: საქართველოს ბანკი
მომსახურე ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. ნომერი : GE05BG0000000161102491
ტელ.: 555 278-273.

შემსყიდველი:
სსიპ იუსტიციის სახლი

№	დახელება	ტექნიკური მონაცემები	რაოდენობა	განზ. ერთ.	ერთ. ღირებ.	ჯამური ღირებ.
1.	**ბენზოცელი**	ბალახის მოსათიბი ბენზინის საწვავზე (ცელი) მაღალი ხარისხის. სიმძლავრე არანაკლებ 1400 ვატი. გარანტია მინიმუმ 1 წელი. წონა არანაკლებ 8 კგ.კომპლექტაცია: ქამარი+3 საცვლელი პირი. ძრავის მოცულობა არანაკლებ 51,7 CC. ავზის მოცულობა 1 ლტ. ბრუნვის სიჩქარე არანაკლებ 3000 წთ. მოტორი 2 ტაქტიანი, გაგრილების სისტემით	1	ცალი	720	720
2.	ბალახის მოსათიბის ბენზო ცელის დისკი	პაბედიტის კბილებით	5	ცალი	60	300
		სულ ჯამი ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით				**1020**

მიწოდების ვადა: 5 (ხუთი) სამუშაო დღე
საგარანტიო ვადა: 12 (თორმეტი) თვე
მოწედების ადგილი: ქ.თბილისი სანაპიროს #2
შპს „დი ეს“-ის დირექტორი
დავით სექანია

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2022 წლის 7 ივლისი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ბალახის საჭრელი ბენზოცელის და მისი დისკების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, **შპს „დი ეს“** -სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი,
ლანა ჯიბლაძე